



სსიპ ქალაქ კასპის №1 საჯარო სკოლა
LEPL Kaspi Public School №1

სსიპ ქალაქ კასპის №1 საჯარო სკოლა

ბრძანება №2-534

2015 წ. "27" ივლისი

სსიპ ქალაქ კასპის №1 საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ძირითადი აქტივების ჩამოწერის შესახებ


„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მეორე პუნქტის, „საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახემწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებულ ქონების განკარგვის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის №82-ე დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ჩამოიწეროს სსიპ ქალაქ კასპის №1 საჯარო სკოლის ბალანსიდან 4 ერთეული შენობა-ნაგებობა, კერძოდ, სასწავლო კორპუსი, საპირფარეო, საქვაბე და დამხმარე ნაგებობა.
2. დაევალოს სკოლის ბუღალტერს ელენე გურგენიძეს ჩამოწერის შედეგების ბუღალტრულად ასახვა.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, გორის რაიონულ სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით. (სასამართლოს მისამართი ქ. გორი ს. ჯორბენაძის ქ. №30.)

საფუძველი: საექსპერტო დასკვნა; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა, ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ნებართვა.

სსიპ ქალაქ კასპის №1
საჯარო სკოლის დირექტორი
თამარ აბულაძე



Handwritten signature